

## შეთანხმება

### საქართველოს მთავრობასა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტს შორის საქართველოსა და უკრაინის ნავსადგურების გავლით პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლის ორგანიზების შესახებ

საქართველოს მთავრობა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტი, შემდგომში წოდებულნი „მხარეებად“,

ეფუძნებიან რა თანასწორუფლებიანი პარტნიორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს,

აღიარებენ რა ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის შემდგომი განვითარების, აგრეთვე საქართველოს და უკრაინის ნავსადგურების გავლით შერეული (კომბინირებული) და სარკინიგზო-საბორნე გადაზიდვების აუცილებლობას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

## მუხლი 1

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის, ქვემოთ მოცემული ტერმინები გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით:

1. „მხარეთა კომპეტენტური ორგანოები“:

- საქართველოს მთავრობის სახელით: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; უკრაინის მინისტრთა კაბინეტის სახელით:

- უკრაინის ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ზემოაღნიშნული კომპეტენტური ორგანოების სახელწოდებებში ან ფუნქციებში ცვლილებების შეტანის შესახებ მხარეები ერთმანეთს აცნობებენ დიპლომატიური არხების მეშვეობით.

2. „მხარეთა საწარმოები“:

საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ და უზრუნველყოფენ პირდაპირ საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლას: რკინიგზები, ნავსადგურები (საბორნე ტერმინალების მფლობელები), გემთმფლობელები და სხვა იურიდიული და ფიზიკური პირები, რომელთაც მხარეთა სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უფლება აქვთ გასწიონ მომსახურება სარკინიგზო, საზღვაო ტრანსპორტით და რომლებიც, წინამდებარე შეთანხმების პირობებით და ტვირთის გადაზიდვისა და სატვირთო ვაგონების ექსპლუატაციის ორგანიზების წესების თანახმად, მონაწილეობენ საქართველოსა და უკრაინის ნავსადგურების გავლით, პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე ხაზით გადაზიდვების განხორციელებაში.

3. „მხარეთა რკინიგზები“:

- საქართველოს მხრიდან - სს „საქართველოს რკინიგზა“

- უკრაინის მხრიდან - სსს „უკრაინის რკინიგზა“

## მუხლი 2

1. წინამდებარე შეთანხმების მოქმედება ვრცელდება ნავსადგურებზე, რომელიც ღიაა საერთაშორისო ნაოსნობისათვის მხარეთა სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. მხარეები თანამშრომლობენ და უწყვენ ერთმანეთს აუცილებელ დახმარებას საქართველოსა და უკრაინის ნავსადგურების გავლით პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლის ორგანიზებაში.
3. ტვირთების გადაზიდვისას, მხარეები მოქმედებენ მხარეთა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და იმ საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, რომელთა მონაწილენიც არიან მხარეთა სახელმწიფოები.
4. თითოეული მხარე, თავისი მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, უზრუნველყოფს აუცილებელ პირობებს ტვირთის დაუბრკოლებლად გადაზიდვისა და მოძრავი შემადგენლობის გაშვებისათვის როგორც მხარეთა სახელმწიფოების ტერიტორიაზე, ასევე ტერიტორიიდან, აგრეთვე მათი ტერიტორიების გავლით მესამე ქვეყნებში.
5. მხარეთა კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთს აცნობებენ ტვირთის ტრანსპორტირებისა და მოძრავი შემადგენლობის გაშვების პირობებთან დაკავშირებით თავიანთ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შესახებ, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად გადაზიდვების განხორციელებაზე და, აუცილებლობის შემთხვევაში, ატარებენ კონსულტაციებს მხარეთა მოქმედი კანონმდებლობების ჰარმონიზების შესაძლო მიმართულებებთან დაკავშირებით.
6. მხარეთა საბაჟო, სასაზღვრო და სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოები საქართველოსა და უკრაინის ნავსადგურების გავლით, პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე ხაზით განხორციელებულ გადაზიდვებზე კონტროლს ახორციელებენ იმ სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც განლაგებულია ნავსადგური.
7. მხარეთა კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთს დაუყოვნებლივ აცნობებენ ნებისმიერი დაბრკოლების შესახებ, რომელმაც შესაძლოა შეაფერხოს საქართველოსა და უკრაინის ნავსადგურების გავლით, პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე ხაზით განხორციელებული გადაზიდვები და, აუცილებლობის შემთხვევაში, მიიღებენ ზომებს ამ დაბრკოლებების აღმოფხვრის მიზნით.

## მუხლი 3

1. საქართველოსა და უკრაინას შორის პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლის განვითარების მიზნით, მხარეთა კომპეტენტური ორგანოები განსაზღვრავენ საბორნე გადასასვლელებს, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდება საქართველოსა და უკრაინას შორის ტვირთის გადაზიდვა პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლაში, შემდგომში „საბორნე გადასასვლელები“, აცნობებენ ერთმანეთს და განაცხადებენ მხარეთა იმ საწარმოების ჩამონათვალს, რომლებიც მხარეთა სახელმწიფოში

მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად მონაწილეობენ მოცემული საბორნე გადასასვლელის მუშაობაში.

2. საქართველოსა და უკრაინის ნავსადგურების გავლით, საბორნე გადასასვლელების მეშვეობით, პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე ხაზით ტვირთების, მათ შორის ერთი ან ორივე მხარისთვის სატრანზიტო ტვირთების გადაზიდვა, რეგულირდება წინამდებარე შეთანხმების დებულებებით და „საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შესახებ“ 1951 წლის 1 ნოემბრის შეთანხმებით, მასში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების ჩათვლით, და „საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების შესახებ“ 1980 წლის 9 მაისის კონვენციით, ცვლილებათა 1999 წლის 3 ივნისის ოქმის შესაბამისად.

3. საქართველოსა და უკრაინის ნავსადგურების გავლით, პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლაში ტვირთების გადაზიდვისათვის, გამოიყენება ერთიანი გადაზიდვის დოკუმენტი - ზედნადები, SMGS-ი ან CIM/SMGS-ი ან CIM-ი.

4. წინამდებარე შეთანხმების დებულებათა რეალიზაციისათვის საჭირო ქმედებების კოორდინაციისა და საბორნე გადასასვლელების მუშაობის ოპერატიული მართვის უზრუნველყოფის მიზნით, იქმნება საქართველოსა და უკრაინას შორის სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელების საბჭო, შემდგომში საბჭო. საბჭო შედგება მხარეთა საწარმოების წარმომადგენლებისგან.

5. საბჭოს საქმიანობა ხორციელდება საბჭოს შესახებ დებულების შესაბამისად, რომელსაც ხელი ეწერება მხარეთა საწარმოების ხელმძღვანელების მიერ და მტკიცდება მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ.

#### მუხლი 4

1. საქართველოსა და უკრაინის ნავსადგურებს შორის, პირდაპირ საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლაში ვაგონებით და კონტეინერებით ტვირთების გადაზიდვის მიზნით, გამოიყენება 1520 მმ-ი ლიანდის სატვირთო ვაგონები.

2. თითოეული საბორნე გადასასვლელის მუშაობის ორგანიზების მიზნით სატვირთო ვაგონებისა და კონტეინერების ექსპლუატაცია, აღრიცხვა და ასევე მათი გამოყენებისთვის ურთიერთანგარიშსწორება, რეგულირდება მხარეთა საწარმოებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით (შეთანხმებებით).

3. მხარეთა საწარმოები უზრუნველყოფენ გემებზე თანმხლები პერსონალისა და მგზავრების განთავსებისა და გადაყვანის აუცილებელ პირობებს, მათ შორის, სამაშველო საშუალებების უზრუნველყოფას, უსაფრთხო საზღვაო ნაოსნობის სხვა მოთხოვნების შესრულებას, რომლებიც დადგენილია მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ საერთაშორისო შეთანხმებების მოთხოვნების შესაბამისად, რომელთა მონაწილენიც ისინი არიან.

თავის მხრივ, მხარეები ადგენენ ასეთი გემების გამოყენებისა და ნაოსნობის უსაფრთხო რეჟიმს, თუ მიიჩნევენ, რომ ეს განპირობებულია დაცვითი ხასიათით და პირობებით, განახორციელონ რეისები მხარეთა სახელმწიფოს ნავსადგურებს შორის. კომპეტენტური

ორგანოები მხარეთა სახელმწიფო საზღვაო ნავსადგურებში აღიარებენ გემის შესაბამის დოკუმენტებს, რომლებიც გაცემულია გემის დროშის სახელმწიფოს მიერ, ზემოაღნიშნული შეთანხმებების შესაბამისად და დადგენილია ასეთი გემების ნაოსნობის რეჟიმისათვის.

მხარეები, საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, რომელთა მონაწილეებიც ისინი არიან დამოუკიდებლად წყვეტენ ასეთი გემების უსაფრთხო საზღვაო ნაოსნობის უზრუნველყოფის საკითხებს და იღებენ ამის პასუხისმგებლობას.

## მუხლი 5

მხარეთა საწარმოებს, საერთაშორისო ნორმებისა და მხარეთა სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლიათ გააფორმონ ხელშეკრულებები, რომლებიც არეგულირებს წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ტექნიკურ, საექსპლუატაციო და სხვა საკითხებს..

აუცილებლობის შემთხვევაში, მხარეთა საწარმოები მოამზადებენ და საბჭოს და/ან თავიანთ კომპეტენტურ ორგანოებს განსახილველად წარუდგენენ წინადადებებს პირდაპირი სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლის მარეგულირებელ ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

## მუხლი 6

მხარეთა საწარმოები დამოუკიდებლად ახორციელებენ თავიანთი გემების, სანავისადგომე ნაგებობების, საბორნე ტერმინალების, ვაგონების, კონტეინერების, ლოკომოტივებისა და სხვა ქონების ექსპლუატაციას, რომელიც მათ ეკუთვნის და დაფარავენ აღნიშნულთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, ასევე თავად იქნებიან პასუხისმგებელი პრეტენზიებსა და სარჩელებზე მხარეთა სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 7

საქართველოსა და უკრაინის ნავსადგურებს შორის საბორნე გემების მიმოსვლა ხორციელდება თითოეული საბორნე გადასასვლელისთვის დადგენილი განრიგის მიხედვით. თითოეული საბორნე გადასასვლელისთვის განრიგის გამოქვეყნების წესი განისაზღვრება საბჭოს მიერ.

## მუხლი 8

მხარეები თავიანთი მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ხელს შეუწყობენ შეთანხმებული სატარიფო პოლიტიკის გატარებას სარკინიგზო, რომელიც მიმართული იქნება საქართველოსა და უკრაინის ნავსადგურების გავლით პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლის განვითარებისკენ.

## მუხლი 9

საქართველოსა და უკრაინის ნავსადგურების გავლით პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლის განხორციელებისას თანამშრომლობის საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით, მხარეთა საწარმოებს შეუძლიათ შექმნან წარმომადგენლობები მხარეთა სახელმწიფოების ტერიტორიებზე.

## მუხლი 10

სარკინიგზო მომსახურების ხარჯებს წინასაბორნე სადგურში ვაგონების შესვლის მომენტიდან საბორნე გემის ბორტზე ვაგონების, კონტეინერების ასვლის მომენტამდე, აგრეთვე საპირისპირო მიმართულებით, ანაზღაურებენ ტვირთის მფლობელები (ექსპედიტორები) დადგენილი ტარიფებით.

## მუხლი 11

ნებისმიერი დავა, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე შეთანხმების დებულებათა განმარტებასთან ან გამოყენებასთან, გადაწყდება საქართველოსა და უკრაინის კონკრეტულ ნავსადგურებს შორის მოქმედი სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის საბჭოს წევრთა შორის მოლაპარაკებების გზით. დადებითი შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ. მხარეთა კომპეტენტური ორგანოების დონეზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავები გადაწყდება, დიპლომატიური არხების მეშვეობით.

## მუხლი 12

წინამდებარე შეთანხმებაში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შეტანილი ცვლილებები და დამატებები, გაფორმდება ცალკე დოკუმენტის სახით და ძალაში შევა ისეთივე წესით, რა წესითაც წინამდებარე შეთანხმება შედის ძალაში, და და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

### მუხლი 13

1. შეთანხმება იდება განუსაზღვრელი ვადით და ძალაში შედის მხარეთა მიერ დიპლომატიური არხების მეშვეობით ძალაში შესვლისთვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ ბოლო წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან.
2. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან, მოქმედებას წყვეტს 2007 წლის 26 სექტემბრის შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტს შორის ქერჩის (უკრაინა) და ფოთი/ბათუმის (საქართველო) ნავსადგურებს შორის პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლის ორგანიზების შესახებ“.
3. შეთანხმება მოქმედებას წყვეტს 6 თვის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც ერთ-ერთი მხარე დიპლომატიური არხებით აცნობებს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ მოქმედება შეუწყვიტოს ამ შეთანხმებას.
4. წინამდებარე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მხარეებს მისი მოქმედების პერიოდში ნაკისრი ვალდებულებებისა და მიღწეული შეთანხმებების შესრულებისგან.

რის დასტურადაც, თავიანთი შესაბამისი მთავრობების მიერ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ ხელმომწერმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე შეთანხმებას.

შესრულებულია ქ. .... წლის ..... , ორ დედნად, თითოეული ქართულ, უკრაინულ და რუსულ ენებზე. ამასთან, ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია. მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმების დებულებათა განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს რუსულ ენაზე.

საქართველოს მთავრობის  
სახელით



უკრაინის მინისტრთა კაბინეტის  
სახელით

